

ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,  
ილია II-ის  
აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლისთავს





ზიარების ბარძიმი. ბედიის ღვთისმშობლის კათედრალური ტაძრიდან (ბედიის ბარძიმი),  
999 წ.


ელდარ ბუბულაშვილი

საქართველოს  
სამოციქულო ეკლესია

თბილისი, საქართველო 2008



ქრისტეს სამსჯვალი  
ინახება საქართველოს საპატრიარქოში



აქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. I ს-ში ქრისტიანობა აქ იქადაგეს მოციქულებმა, რის გამოც საქართველოს ეკლესია სამოციქულო ეკლესიად ითვლება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქრისტიანული სამყაროს განუყოფელი ნაწილია. იგი ერთ-ერთი უხუცესი ეკლესიაა მსოფლიო ეკლესიებს შორის. საქართველოს სამოციქულო ეკლესიას უძველესი პერიოდიდან მე-ნ ადგილი უკავია მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის.

მართალია, საქართველოში ქრისტიანობა პირველი საუკუნიდანვე გავრცელდა, მაგრამ, როგორც წყაროებიდან ჩანს, ქართველ ხალხში მხსნელი-მესიის მოლოდინი ქრისტეს შობამდეც არსებობდა. აღნიშნულის შესახებ საინტერესოა პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ არსებული მათიანის ცნობა, რომელიც იძიებდა „ჯვულსა ქრისტესსა... და წიგნიცა, რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი, და მასცა წიგნსა შინა ჰპოვა წერილი ესრეთ: „...უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა... მან გიხილოს ჭირსა შინა და გიხსნეს შენ.“ მართალია, „ნებროთის წიგნის“ წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ მასში გაცხადებულია „ცის მეუფის“ ამქვეყნად მოვლინება, რომლის გაცნობის შემდეგ მირიან მეფემ IV ს-ში მიიღო ახალი სარწმუნოება.

ქართველთა წინაპრებს მხსნელი-მესიის შესახებ ცოდნა აგრეთვე უნდა ჰქონოდათ ძველი აღთქმიდანაც, რომელიც მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის VI საუკუნეში იერუსალიმიდან დევნილი და მცხეთაში დამკვიდრებული ებრაელების მეშვეობით. XI ს-ის ისტორიკოსი ლეონტი მროველი მეფე მირიანის შესახებ აღნიშნავს, რომ მესიამხსნელზე „გულისხმა ყო მეფემან მირიან, რამეთუ ძუელნი წიგნნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა“. როგორც ჩანს, „ძუელნი წიგნნი“ ძველი აღთქმა იგულისხმება, ხოლო „ახალნი ეწამებოდეს“ – სახარება. ძველი აღთქმის გავლენით უნდა აიხსნას ქართული მათიანის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით თურმე ქართველებს თავდაპირველად სწამდათ „ღმერთი დამბადებელი“. შემდგომ ხანაში, როცა მცხეთა დედაქალაქი გამხდარა, მათ დავიწყებათ „ღმერთი დამბადებელი“ და „იქმნეს მსახურნი მზისა და მთვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა“. იერუსალიმიდან ლტოლვილმა ებრაელებმა ძველი აღთქმის გაცნობით „გაუხსნეს გზა ქართველ ერს ბიბლიური ჭეშმარიტებისაკენ“.

ძველი აღთქმის ეპოქაში, ებრაელებს მცხეთაში შემოუსვენებიათ და იქვე საიდუმლოდ დაუფლავთ ძველი აღთქმის სიწმინდე – ელიას ხალენი (ილია თეზბიტელის მოსასხამი). მათ სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული იერუსალიმიდან ქრისტიანობის უდიდესი სი-

წმინდის უკერველი უფლის კვართის ჩამობრძანება და მისი დაფვლა ქართლის იმდროინდელ დედაქალაქ მცხეთაში. ეს პატივი წილად ხვდათ მცხეთელ ქართველ ებრაელებს ლონგინოზ კარსნელსა და ელიოზ მცხეთელს, რომლებიც მოწმენი იყვნენ მაცხოვრის ჯვარცმისა, მაგრამ მის ვნებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მცხეთაში დაბრუნებულმა ელიოზმა ქრისტეს სიწმინდე თავის დას სიდონიას გადასცა, რომელმაც უფლის კვართი გულში ჩაიკრა და მიიცვალა. ელიოზმა გარდაცვლილი სიდონია უფლის კვართთან ერთად, ძველი აღთქმის სიწმინდესთან, ელიას ხალენის მახლობლად დაკრძალა, რამაც, გარკვეული თვალსაზრისით, საკრალური მნიშვნელობა შეიძინა. ძველი აღთქმა, რომლის სიმბოლური გამოხატულება ელიას ხალენია, წინასწარმეტყველებს ახალს, ახალი აღთქმა კი, რომლის სიმბოლოს ქრისტეს კვართი წარმოადგენს, აცხადებს ძველს. მცხეთაში ელიას ხალენისა და უფლის კვართის დაფლულობა ძველი აღთქმის დასასრულსა და ახალი აღთქმის დასაწყისს მოასწავებს. თავისთავად, უფლის კვართის მცხეთაში შემოსვენება სიმბოლურად გაიაზრება, როგორც ქრისტიანობის შემოსვლა ქართლში. მართალია, მცხეთაში უფლის კვართის შემოსვენების ისტორია და მისი დაფვლის ადგილი მალე მიივიწყეს, მაგრამ შემდგომ სწორედ იგი გახდა ქართლის მოქცევისა და საქართველოს ეკლესიის დაარსების მიზეზი.

როგორც წყაროებიდან ჩანს, ჯერ კიდევ უფლის კვართის შემოსვენებამდე, ქართლის დედაქალაქში უკვე ჩანან პირველი ქრისტიანები, რომელთაც „სწამდათ იესო ქრისტე, როგორც ღმერთი და მაცხოვარი ქვეყნისა“. ელიოზის დედა და და სიდონია მართლმორწმუნე ქრისტიანები არიან. იერუსალიმში მიმავალ ელიოზს დედამისი ეხვეწება, რომ მონაწილეობა არ მიიღოს ჯვარცმაში. იგი იმდენად მართმორწმუნე ყოფილა, რომ მას მცხეთაში სულიწმინდის მადლით ემცნო ჯალათების მიერ ქრისტეს ჯვარზე დაღურსმვა.

ქართული და უცხოური წყაროების (ბერძნული – სტეფანე ათონელი, XV-XVII ს-ის რუსული „საკითხავები“) ცნობით საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. გადმოცემის მიხედვით, როდესაც მოციქულებმა წილი იყარეს, ვის სად უნდა ექადაგა ახალი რჯული, ივერთა მხარე მარადქალწულს ერგო, მაგრამ ღვთის ნებით მას უფლება არ მიეცა თავის წილხვედრ ქვეყანაში ქრისტეს სარწმუნოება ექადაგა. მიუხედავად ამისა, ქართველ ხალხს არასოდეს მოჰკლებია ღვთისმშობლის მფარველობა. თავის მხრივ, ქართველობას კარგად ჰქონდა გათავისებული სარწმუნოებრივი მოვალეობა და რწმენაში განმტკიცებით, მისადმი თავდადებით ცდილობდა გაემართლებინა ღვთისმშობლის მფარველობა. უძველესი დროიდან მის სახელზე აგებდა ეკლესია-მონასტრებს და დიდი მოწიწებით ეპყრობოდა მასთან დაკავშირებულ სიწმინდეებს: ღვთისმშობლის კვართს, ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილს, კაბის ნაჭერს, ლეჩაქის ნაწილს და სხვ.

უფლის ნებით, ღვთისმშობელმა საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად გამოგზავნა ანდრია პირველწოდებული, რომელსაც გამოატანა ფიცარზე აღბეჭდილი საკუთარი ხატი (ღვთისმშობელი ყრმით), თან დააბარა: „სადაცა ხვიდოდე მეცა თანაშემწე ვარ ქადაგების... და დიდად შეეეწიო... მას ჩემდა ხუედრებულსა“.

ანდრია მოციქულის გარდა, სახარება საქართველოში უქადაგა სიმონ კანანელსა და მატათას. ეფრემ მცირე (XI ს.) ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ საქართ-

ველოში ქრისტიანობა გაავრცელა ანდრია მოციქულმა და ბართლომემ. საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ მწირ, მაგრამ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს უცხოური წყაროები: ორიგენი (+ 254), ევსევი კესარიელი (+340), ეპიფანე კვიპრელი (+405), ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.) და სხვ. მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ არსებული ქართული წყაროები უცხოურ წყაროებთან შედარებით გვიანი ხანით თარიღდება. იდეოლოგიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მოციქულთა თემას X-XI ს-ში განსაკუთრებული აქტუალობა ათონის მთაზე მოღვაწე ქართველმა სასულიერო პირებმა შესძინეს. ქართველი მამები საქართველოში მოციქულთა მიმოსვლის დამადასტურებელ ფაქტებს ხშირად იყენებდნენ ბერძენი სამღვდლოების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის წართმევას. ამ მიზანს ემსახურებოდა ექვთიმე ათონელის (+1028) მიერ ბერძნულიდან ანდრია მოციქულის „მიმოსვლის“ ქართულ ენაზე თარგმნა. აღნიშნულ საკითხს ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით საინტერესო ნაშრომი უძღვნა შავ მთაზე მოღვაწე ეფრემ მცირემ.

ანდრია მოციქულს საქართველოში სამჯერ უმოგზაურია. პირველი მოგზაურობის დროს იგი ხელთუქმნელ ხატთან ერთად მეგრელთა ქვეყნიდან, ტრაპიზონიდან „შესულა ქვეყანასა ქართლისას“, რომელიც დიდ აჭარის სახელითაა ცნობილი. აქ მას აუშენებია ეკლესია, დაუდგენია სასულიერო პირები და ხელთუქმნელი ხატის ასლიც აქვე დაუსვენებია. დღეს ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა „თარანგელად“ (მთავარანგელოზად) მოიხსენიებს. აქედან ანდრია გაემართა ქართლის შუაგულისაკენ, გადავლო მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდა, სადაც მას რკინის ჯვარი აღუმართავს. შემდეგ მოციქულ ანდრიას აწყურში პირველი საეპისკოპოსო დაუარსებია და ხელთუქმნელი ხატიც იქ დაუსვენებია. აღნიშნული ხატი აწყურის ღვთისმშობლის სახელითაა ცნობილი. მეორე და მესამე მოგზაურობის დროს ანდრიამ სიმონ კანანელთან და მატათა მოციქულთან ერთად მოაქცია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი და მთიანი ნაწილი. ანდრია მოციქული შემდგომ უკან დაბრუნდა, ხოლო სიმონ კანანელმა და მატათა მოციქულმა სამუდამო განსასვენებელი საქართველოში ჰპოვეს. სიმონ კანანელის საფლავი ამჟამად დაცულია ახალ ათონში (აფხაზეთი), ხოლო, საეკლესიო ტრადიციით, მატათა მოციქული განისვენებს გონიოში (ბათუმი). მოციქულთა მიმოსვლამ გარკვეული კვალი დატოვა ადგილობრივ ტოპონიმიკაში. შემორჩენილია მათი წმინდა ნაწილები. თბილისის სიონის ტაძარში ასვენია თომა მოციქულის თავის ქალა. საქართველოს ეკლესია-მონასტრებში აგრეთვე დავანებულია ანდრია პიველწოდებულის, პეტრეს, პავლეს, მათეს და სხვა მოციქულთა წმინდა ნაწილები.

საქართველოში ქრისტიანობა შემდგომშიც ვრცელდებოდა. I ს-ის მიწურულს საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში „სასარება“ უქადაგია 70 მოციქულთაგან ზრისოს თავის 19 მოწაფესთან ერთად, რომლებიც სუკაკველების სახელით არიან ცნობილნი. ბარონიუსის გადმოცემით, ხერსონში გადასახლებულ კლიმენტი რომაელს (+101) დიდად უღვაწია კოლხეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად. რომაული მარტიროლოგიის მიხედვით, იმპერატორ მაქსიმიანეს ბრძანებით ქრისტიანობის გამო, მდ. ჭოროხის მიდამოებში სიკვდილით დაუსჯიათ რომაელი მეომრები ორენტი და მისი 7 სულიერი ძმა, რომლებიც გონიოს ციხის ტერიტორიაზე დაუკრძალავთ. ერთ-ერთი ლათინური წყაროს მოწმობით,





„საქართველოს ეკლესიის დიდება“  
ხატი



II ს-ის პირველ ნახევარში დას. საქართველოში საეპისკოპოსოც არსებულა. ამ პერიოდში ფაზისის ეპისკოპოსი ადგილობრივი, კოლხეთის მკვიდრი, ერეტიკოსი მარკიონი ყოფილა. მამამისი, ეპისკოპოსი პალმოსი ბევრს ეცადა, შვილი ჭეშმარიტებაზე მოექცია, მაგრამ ვერაფერს გახდა, რის გამოც იგი ეკლესიიდან განკვეთეს. ქრისტეს სწავლება საქართველოში აგრეთვე შემოქმონდათ მოგზაურებს, ვაჭრებს და ტყვეებს. მოყვანილი ფაქტები მეტყველებს, რომ I–III სს-ში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ფარულად არსებობდა ქრისტიანული თემები. აღნიშნული პერიოდი „ფარული ქრისტიანობის“ სახელითაა ცნობილი. წერილობითი წყაროების უტყუარობას ადასტურებს ამავე პერიოდით დათარიღებული არქეოლოგიური ნაშთები: ქრისტიანული სამარხები, ეკლესიები და სხვ. აფხაზეთში (ბიჭვინთა, სებასტოპოლისი) და აჭარაში (პეტრა-ციხისძირი, ფიჭვნარი) აღმოჩნდა III ს-ით დათარიღებული საეკლესიო ნაგებობები, ჯვრის გამოსახულებები და სხვ. მეტად საინტერესოა შიდა ქართლში, ნასტაკისა და ძალისში საცხოვრებელი სახლის შიგნით აღმოჩენილი II–III სს-ის ქრისტიანული ეკლესიის ნაშთები, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ, რადგან ქრისტიანობა ამ დროისათვის ოფიციალურ რელიგიად არ იყო გამოცხადებული, ქრისტიანულ ტაძარს არალეგალურად აშენებდნენ საცხოვრებელ სახლებში. ადრექრისტიანული ხანის სამარხები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: მცხეთაში, ჟინვალში, აფხაზეთში. ერწო-თიანეთში III ს-ის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ მონოგამაზე ლათინური წარწერაა: „ესო ქრისტე – რტო მშვიდობისა“. აღნიშნული აღმოჩენა იმის დასტურია, რომ საქართველოს მთიან ზოლშიც შეუღწევია „სახარებას“.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქრისტიანული თემები საქართველოში არ იდეენობდნენ. მხოლოდ ერთი ფაქტია დაფიქსირებული, როცა მეფე ადერკმა დიდაჭარაში ანდრია მოციქულის მიერ დაარსებული ეკლესია შემუსრა, მოსახლეობას ეკლესიის სიწმინდეები და სამღვდლოება დევნისგან გადაურჩინა. სხვა ფაქტი დევნისა წყაროებით არ დასტურდება. ქრისტიანულ თემებს გარკვეული გავლენა მოუხდენიათ სამეფო კარზე და წარმართ მოსახლეობაზე. ამ მხრივ, საინტერესო ცნობებია დაცული III ს-ის შუა ხანებში მოღვაწე ქართლის მეფის რეგ მართლის შესახებ. მათიანის მიხედვით: „ესე რეგ მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა. რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყვარული ქრისტესი“. აშკარაა, რომ ქრისტიანობას დიდი გავლენა მოუხდენია მოსახლეობასა და მეფეზე. რეგ მართალმა აკრძალა არმაზის კერპისათვის ჩვილ ბავშვთა შეწირვა. მეფის ამ გადაწყვეტილებას წარმართი მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვედრია. როგორც ჩანს, სახარებისეულმა ქადაგებამ წარმართი მოსახლეობა ახალი სარწმუნოების მისაღებად მოამზადა. თვით რეგ მეფის ზეწოდება „მართალი“ ქრისტიანულია და ჭეშმარიტების მაძიებელს ნიშნავს.

მოციქულთა დიდი ღვაწლისა და ქრისტიანული თემების არსებობის მიუხედავად, სამეფო კარი და მისი ქვეშევრდომნი ისევ კერპებს აღმერთებდნენ. ქართველი ხალხისა და სამეფო კარის მოქცევა ახალ სარწმუნოებაზე IV ს-ის პირველ მეოთხედში მოხდა კაპადოკიელი ტყვე-ქალის წმ. ნინოს ღვაწლით. საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარება განაპირობა პოლიტიკურმა ფაქტორმაც. ამ დროისათვის საქართველო რომის იმპერიის ქვე-

შეკრდომი იყო. IV ს-ის დასაწყისში კონსტანტინე იმპერატორმა ქრისტიანობა შეიწყნარა. ამ ფაქტმა გავლენა მოახდინა საქართველოზეც, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის დროს მთელი ერი ფსიქოლოგიურად მზად იყო ახალი სარწმუნოების მისაღებად.

ქართლის გაქრისტიანების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ბერძენ-რომაელ მოღვაწეებთან: გელასი კესარიელთან (+395), რუფინუსთან (+410), თეოდორიტე კვირელთან (+457), სოკრატ სქოლასტიკოსთან (+440), იერემია სოზომენტთან (V ს.). წმ. ნინოს მოღვაწეობის შესახებ ფრაგმენტულია არაბულ-სირიული და კოპტური წყაროები. აგრეთვე მნიშვნელოვანია სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის (V ს.) და XVI-XVII სს-ის რუსული წყაროები. ქართლის გაქრისტიანების შესახებ მრავალფეროვანია ქართული წყაროები, რომელთა შორის აღსანიშნავია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

ნინოს მამა ზაბილონი კაპადოკიელი სარდალი იყო, დედა სოსანა – იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და. როცა მშობლები ღვთის სამსახურში ჩადგნენ, 12 წლის ნინო იერუსალიმში მართლმორწმუნე დვინელ ქალთან იზრდებოდა, რომელიც მას ხშირად ესაუბრებოდა იესო ქრისტეზე და უფლის კვართის მცხეთაში წასვენების შესახებ. სწორედ უფლის კვართი იყო წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის პირველი მიზეზი. იერუსალიმში იგი დაუახლოვდა რიფსიმეს და მის 50 სულიერ დას. კეისრისგან დევნილებმა თავი სომხეთს შეაფარეს. სომხეთის მეფე თრდატმა რიფსიმიანელები აწამა, სასწაულებრივად გადარჩენილი წმ. ნინო ჯავახეთის გზით ქართლში შემოვიდა. მას გამოცხადებისას ღვთისმშობელმა გადასცა ვაზის ნასხლევისაგან დამზადებული ჯვარი, რომელიც წმ. ნინომ თავისი თმებით შეკრა. ამ ჯვრით მოაქცია მან ქართლი. ერთ ხანს იგი მცხეთაში, მაყვლოვანში დასახლდა, სადაც შემდგომ მცირე ზომის ეკლესია აშენდა. სულიწმინდის მადლით მან დაამსხვრია წარმართული კერპები. 6 წლის განმავლობაში იგი ფარულად ქადაგებდა სახარებას და მოსახლეობას კურნავდა. ქრისტეს აღიარების შემდეგ უკურნებელი სენისგან განკურნა დედოფალი ნანა, ხოლო მეფე მირიანმა მას შემდეგ იწამა სახარება, როდესაც თხოთის მთაზე გამოცხადება იხილა. წმ. ნინოს მეშვეობით კონსტანტინე იმპერატორისაგან გამოგზავნილმა სასულიერო პირებმა სამეფო კარი და მოსახლეობა მდ. მტკვარში მონათლეს. საეკლესიო ტრადიციით, ქართლში ქრისტიანობა 326 წ. გამოცხადდა სახელმწიფო სარწმუნოებად, რაც აგრეთვე დასტურდება უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებითაც. ამავე პერიოდში დას. საქართველოშიც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად იქნა აღიარებული, რის დასტურს წარმოადგენს ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.) ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილეს მონაწილეობა. ქართლის მოქცევის გამო წმ. ნინო ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად იწოდება. ქართული წყაროები მას „ქართლის მაცხოვრად“ და „დედად ქართველთა თემისაჲდ“ მოიხსენიებს. მცხეთის გარდა, მან ქრისტიანობა იქადაგა ქართლის მთიანეთში, ბოდბეში, სადაც მიიცვალა და იქვე დაკრძალეს.

უფლის კვართმა, როგორც ქრისტეს სხეულმა, თავისი სიდიადე ქართლის მოქცევის შემდეგ გამოავლინა. ღვთის ნებით, მხოლოდ აღნიშნული ფაქტის შემდეგ ხდება სამეფო კარისა და მცხეთის მკვიდრთათვის ცნობილი საქართველოში I ს-ში შემოსვენებული ქრისტიანობის ამ უდიდესი სიწმინდის არსებობის ფაქტი. პირველი ტაძარი სწორედ უფლის

კვართის განსასვენებელ ადგილზე შენდება. საშენ მასალად კი გამოიყენეს კვართისა და სიდონიას საფლავზე ამოსული ლიბანის ხე, რომლის ერთი სვეტი წმ. ნინოს ლოცვით ზეციდან ჩამოეშვება და კვართის განსასვენებელ ადგილზე აღიმართება. აღნიშნული სვეტი ცხოველმყოფელი სვეტის სახელითაა ცნობილი, საიდანაც საუკუნეების განმავლობაში სამკურნალო მირონი მოედინებოდა. უფლის კვართის განსასვენებელ ადგილზე აგებულ ტაძარს ცხოველმყოფელი სვეტის გამო სვეტიცხოველი ეწოდა, რომელიც აშენების დღიდან საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის საკათედრო ტაძარს წარმოადგენს. უფლის კვართმა, როგორც ქრისტეს დაუნაწევრებელმა სხეულმა, საქართველოს ეკლესიაში ლიტურგიკული დანიშნულება შეიძინა. XII ს-ში კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერიძემ (1150-1177) შექმნა უფლის კვართისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტურგია. მანვე აღწერა ის სასწაულები, რომელიც კვართთან და ცხოველმყოფელ სვეტთან არის დაკავშირებული. უფლის კვართმა აგრეთვე ასახვა ჰპოვა საქართველოს სამეფო გერბშიც. უფლის კვართმა სვეტიცხოვლის ტაძარი ეროვნულ სიწმინდედ აქცია, სადაც უძველესი დროიდან ხდება ეპისკოპოსთა და ეკლესიის მწყემსმთავართა კურთხევა. გარდა ამისა, „კვართი, როგორც უწმინდესი რელიქვია, ამთლიანებს ყველა იმ ქრისტიანულ სიწმინდეს, რომელთაც საქართველოს ეკლესია ფლობდა და ფლობს“, მათ შორის მაცხოვრის სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეებს: ძელიცხოვლის ჯვრის ნაწილები, ფეხთა ფიცარი, ბაწარი, რომლითაც ის გათოკეს, ეკლის გვირგვინის ნაწილი, საიდუმლო სერობის დროინდელი პინაკი, ქრისტეს წვერის ღერები, ქრისტეს სისხლი, ღრუბელი, შოლტი და სხვ.


უფლის კვართის მცხეთაში დაფლულობით და მის ადგილზე სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებით მცხეთა იქცა მეორე იერუსალიმად. უფლის კვართის სამარხი და მისი მიდამოები უძველესი დროიდან მაცხოვრის საფლავად მოიაზრებოდა. მცხეთის შემოგარენში მრავლად არის იერუსალიმური წარმოშობის ტოპონიმებიც: ბეთლემი, გეთსამანია, ამალღების მთა და სხვ. სვეტიცხოვლის ტაძარში უფლის კვართის დაფლულობა ქართველ ხალხს და საქართველოს ეკლესიას განსაკუთრებული მადლით მოსავს. ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში მოწიწებით და ერთგულად აცნობიერებდა უკერველი უფლის კვართის ქრისტოლოგიურ გაგებას მისი დაუნაწევრებლობის შესახებ, რომელიც ეკლესიური ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოდ მოიაზრება.

ახლადდაარსებული ეკლესიის მწყემსმთავარი მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა. წყაროებიდან არ ჩანს, თუ რამდენი საეპისკოპოსო არსებობდა ამ დროისათვის ქართლში, მაგრამ მწყემსმთავრის სახელწოდება მიგვითითებს ეპისკოპოსთა სიმრავლეზე. როგორც ირკვევა, მთავარეპისკოპოსობის პერიოდში ქართლის ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მთავარეპისკოპოსის კანდიდატურა საბერძნეთიდან იგზავნებოდა. მთავარეპისკოპოსობის დროს შენდება პირველი ქრისტიანული ტაძრები. ამავე პერიოდში ქრისტიანობა ფეხს იკიდებს საქართველოს მთიანეთში.

IV ს-ის 60-იანი წლებიდან ქართლში სასანიდური სპარსეთის ბატონობამ ეკლესიის წინსვლა ერთგვარად შეაფერხა. დამპყრობელი მახდევანობის გავრცელებასთან ერთად ცდილობდა ქართლის ეკლესიაში თავისი პოლიტიკის გატარებას. V ს-ის მეორე ნახევარი საქართველოს ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი ეტაპია. მეფე ვახტანგ გორგასალმა აქტიური



ცხოველმყოფელი სვეტი  
მცხეთა. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი



მცხეთა. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი  
1110-1029 წ.წ.



ბრძოლა დაიწყო სპარსელთა წინააღმდეგ, ეკლესიამ კი უარი განაცხადა მიეღო სპარსელთა მიერ მხარდაჭერილი მონოფიზიტური მწვალებლობა. ქართლის ეკლესიამ აღიარა 451 წ-ს გამართული IV საეკლესიო კრების გადაწყვეტილება, რომელმაც დიოფიზიტობა ჭეშმარიტ რწმენად გამოაცხადა. დიოფიზიტობის აღიარებით ქართლის ეკლესია პოლიტიკურად დაუპირისპირდა სპარსეთს. სომხებმა და სპარსეთის ქვეშევრდომმა სხვა ქრისტიანებმა მონოფიზიტობა მიიღეს. სპარსეთი შემდგომ პერიოდში მათ აქტიურად იყენებდა ქართლში თავისი პოლიტიკური მიზნების გატარებისათვის. V ს-ის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალმა ქართლის ეკლესიას სრული დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია მოუპოვა. მისი თხოვნით, ანტიოქიის პატრიარქმა ქართლის ეკლესიის მწყემსმთავარი პეტრე კათალიკოსად აკურთხა, ხოლო სამოელი – მთავარეპისკოპოსად, დადგენილ იქნა 12 ეპისკოპოსი. მცირე ხნის შემდეგ, VI ს-ის დასაწყისში ეპარქიების რაოდენობამ 35 შეადგინა, შემდგომ საუკუნეებში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ქართული წყაროების ცნობით, VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (681 წ.) ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო VI ს-ის 40-იანი წლებიდან კათალიკოსად ინიშნებოდნენ ქართველი მწყემსმთავრები.

ავტოკეფალიის მოპოვებით დასრულდა ქართლის ეკლესიის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ჩამოყალიბება. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურის – კათალიკოსის ტიტულის მატარებელი გახდა. ამ დროიდან ღვთისმსახურებაში შემოდის იერუსალიმური წეს-განგება, რომელიც X ს-ში საბაწმინდურით იცვლება, ხოლო XVII-XVIII ს-ში სლავური წეს-განგება მკვიდრდება. V-VI ს-ში ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ლიტურგიკული ლიტურატურაც. ამ პერიოდში ეკლესიაში ჩნდებიან პირველი წმინდანებიც: რაჟდენ პირველმოწამე (V ს-ის მე-2 ნახევარი), შუშანიკი (+475) და სხვ. შემდგომ საუკუნეებში მათი რიცხვი თანდათან იზრდება. დაიწერა მათდამი მიძღვნილი პაგიოგრაფიული თხზულებანიც.

საუკუნეების განმავლობაში დამოკიდებულება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კეთილგანწყობილი იყო. ეკლესია თავის შინაგანი ცხოვრებითა და წეს-წყობილებით ავტონომიური იყო. მის უზენაეს ორგანოდ ითვლებოდა საეკლესიო კრება, რომელზეც საეკლესიო სამართლის შესატყვისად წყდებოდა სხვადასხვა საკითხი. სახელმწიფო არ ერეოდა ეკლესიის საქმეებში. იგი იყო გარეგანი მფარველი და ხელშემწყობი საეკლესიო ცხოვრების წარმატებისა. ის ხელს უწყობდა ეკლესიის ორგანიზაციის სრულყოფას, საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას და სხვ..

ეპარქიებისა და მრევლის რაოდენობის გაზრდის შესაბამისად გაიზარდა სამღვდლოების რაოდენობაც. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში სამღვდლოება წოდებად არ ჩამოყალიბებულა. სამღვდლო პირი შეიძლებოდა გამხდარიყო არისტოკრატიის წარმომადგენელი და ყმა-გლეხიც. დაბალი ფენა მხოლოდ მღვდლობის ხარისხს ღებულობდა. მაღალი საეკლესიო იერარქია ძირითადად არისტოკრატით იყო დაკომპლექტებული. თავდაპირველად, როგორც წყაროებით დასტურდება, ეკლესიაში ცოლოსანი ეპისკოპოსები ყოფილან, შემდგომ ამ ხარისხში მხოლოდ უცოლო, შავი სამღვდლოების წარმომადგენლებს ირჩევდნენ. სამღვდლოების შრომითი ანაზღაურება ჯამაგირით არ ხდებოდა. ისინი მხოლოდ შემოწირულობების ხარჯზე ცხოვრობდნენ.



VI ს-ში ახალი ეტაპი იწყება საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ამავე საუკუნეში იოანე ზედაზნელის მეთაურობით შუამდინარეთიდან მოსულმა „ათცამეტმა ასურელმა მამამ“ ქართლში და მის მთიან ნაწილში ხელი შეუწვევს დიოფიზიტობის განმტკიცებას. მათი მოღვაწეობით საქართველოში საბოლოოდ დამკვიდრდა სამონასტრო ცხოვრებისა და ბერ-მონაზვნობის ტრადიცია. ახლადგამოვლენილი მასალებით დასტურდება, რომ ასურელი მამების მოსვლამდეც, საქართველოში უკვე არსებობდა ბერძნული ტიპის რამდენიმე მონასტერი, ხოლო საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი სამღვდლოება (ევაგრე პონტოელი (+399), პეტრე იბერი და იოანე ლაზი) აქტიურ სამონასტრო ცხოვრებას ეწეოდა. პეტრე იბერს და მის თანამოღვაწე იოანე ლაზს V ს-ის მე-2 ნახევარში იერუსალიმში დაუარსებიათ ქართული მონასტერი და შეუქმნიათ თეოლოგიური სკოლა. ასურელი მამების მოსვლით საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას ფართო გასაქანი მიეცა. მათ მოახდინეს მონასტრული ცხოვრების ჩამოყალიბება. ასურელმა მამებმა საქართველოში შემოასვენეს ქრისტიანული სიწმინდეები: დავით გარეჯელმა მადლის ქვა, ანტონ მარტყოფელმა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი და სხვ.. მათ მიერ დაარსებული მონასტრები ქართული მწიგნობრობისა და განათლების მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია დავით გარეჯის ლავრა და სხვ.

ასურელი მამების ღვაწლის შედეგი იყო, რომ VII ს-ის დასაწყისში, 608 წ-ს ქართველთა და სომეხთა შორის მოხდა საეკლესიო განხეთქილება. სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ მონოფიზიტობა აირჩია, ხოლო ქართლის ეკლესია კი ქალკედონური მიმდინარეობის ერთგული დარჩა.

VII-IX ს-ში, არაბთა ბატონობის დროს, საქართველოს ეკლესია მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ქრისტიანულ ეკლესიას სერიოზული საფრთხე დაემუქრა დამპყრობელისაგან, რადგან ისინი ძალადობის გზით ცდილობდნენ ახალი რელიგიის – მაჰმადიანობის გავრცელებას. თავდაპირველად არაბები, მართალია, სიფრთხილეს იჩენდნენ ქრისტიანობის მიმართ, მაგრამ შემდგომ აშკარად დაიწყეს მისი შევიწროვება. ქართლის ეკლესიამ არაბთა ძალადობას რწმენაში განმტკიცებით უპასუხა. ეკლესიის მიერ წმინდანებად შეირაცხა და საგანგებოდ აღიწერა არაბებისაგან წამებულთა (არჩილ მეფე (+718), დავით და კონსტანტინე მხეიძეები (+737), აბო ტფილელი (+786), ნეოფიტე ეპისკოპოსი, მეფე აშოტ I (+826), კონსტანტი-კახი (+853), მიქელ-გობრონი (+914)) ცხოვრება. არაბთა ბატონობის შედეგად შექმნილი პოლიტიკური დაქუცმაცებლობის მიუხედავად, ეკლესიამ შეინარჩუნა ჭეშმარიტი რწმენა და სამწყსოს ერთიანობა. VII-VIII ს-ში ბიზანტიაში მიმდინარე ხატმებრძოლეობა ქართლის ეკლესიაში არ გავრცელებულა. ამ პერიოდისათვის საქართველოში ქრისტიანული ხელოვნება აღმავლობას განიცდის, ვითარდება კედლის მხატვრობა და ტიხრული მინანქარი. საქართველოს ეკლესიის სულიერების მაღალი დონის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 750 წ-ს იოანე გუთელი საქართველოში ჩამოდის ხელდასხმისათვის, რადგან ბიზანტიაში მწვალებლობის გამო შეუძლებელი შეიქმნა მისი კურთხევა.

არაბთა დევნის გამო პოლიტიკური და ეკლესიური აღმავლობის ცენტრმა სამხ. საქართველოში, ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა, სადაც VIII-IX ს-ში მეფე აშოტ კურაპალატის (+826) და ამ კუთხის დიდებულთა ხელშეწყობით არქიმანდრიტმა გრიგოლ ხანცთელმა



ღვთისმშობლის კვართი  
ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი



თომა მოციქულის თავის ქალა  
თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი

(+861) და მისმა მოწაფეებმა: ევრემ მაწყვერელმა, მიხეილ პარეხელმა და სხვ. დააარსეს სამონასტრო კერები: ხანცთა, შატბერდი, ოპიზა, ბერთა, წყაროსთავი და სხვ. შემდგომ მათ მიემატა ბანა, ოშკი, პარხალი, რომელშიც დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა. გრიგოლ ხანცთელმა თავისსავე დაარსებულ მონასტრებში შემოიღო ახალი სამონასტრო ტიპიკონი, რომელიც თვითონ შექმნა საბაწმინდისა და კონსტანტინოპოლის ტიპიკონთა საფუძველზე. მანვე შეადგინა მთელი წლის სადღესასწაულო საგალობელთა კრებული – „საწელიწდო იადგარი“, შემდგომ საუკუნეებში კი ჩამოყალიბდა ორიგინალური მრავალხმიანი ქართული საგალობლები, რომელთა შექმნას დიდი ღვაწლი დასდეს მიქაელ მოღრეკილმა, იოანე მტბეკარმა, იოანე მინჩხმა, იოანე ზოსიმემ და სხვ. გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობამ სათანადო შედეგი გამოიღო. ტაო-კლარჯეთში დაარსებულ სამონასტრო ცენტრებში აღზრდილმა სასულიერო პირებმა აქტიური საგანმანათლებლო მოღვაწეობა გააგრძელეს X-XIII ს-ში საზღვარგარეთ დაარსებულ ქართულ ქრისტიანულ კერებში.

შემდგომ საუკუნეებში სასულიერო პირების გარდა მონასტრებს მეფე-მთავრებიც აფუძნებდნენ. ზოგჯერ მათ მიერ დაარსებული მონასტრები მათსავე საკუთრებას წამოადგენდა, XII ს-ში შიომღვიმე და დავით გარეჯი მეფის კუთვნილება გახდა. მონასტრებისა და საეპისკოპოსოების მფლობელობაში იყო მეფე-მთავრებისა და მაღალი არისტოკრატიის მიერ შეწირული უძრავი ქონება: მიწა, მასზე დასახლებული ყმა-გლეხებითა და მსახურეული აზნაურებით, საძოვრები, სახნავ-სათესი, სათევზაო თუ სანადირო ადგილები. ყოველი ახალი მეფე ეკლესიას უახლებდა შემოწირულობებს, აკრძალული იყო საეკლესიო ქონების გასხვისება. საეკლესიო მეურნეობას ეკლესია ამუშავებდა საეკლესიო გლეხებისა და მონასტრის სამღვდელოების საშუალებით. საეკლესიო გლეხები ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდნენ ბეგარა-გადასახადებს ნატურით ან ფულით. შემოსული შემოსავლების დიდი ნაწილი ეკლესია-მონასტრებს ხმარდებოდა, ნაწილი კი ქველმოქმედებისა და ღარიბ-ღატაკებისათვის იყო განკუთვნილი. ზოგიერთ მონასტერთან არსებობდა ქსენონები, სადაც დავრდომილებს უფასოდ მკურნალობდნენ.

ქართლის ეკლესიის პარალელურად აღმავლობას განიცდიდა დას. საქართველოს ეკლესიაც. IV ს-დან ეგრისი იქცა რომიდან დევნილი წმინდა მამების თავშესაფრად. 308 წ. აფხაზეთის კომანში აღესრულა თეოდორიტე ტირონის ძმისწული ვასილისკო. აქვე 407 წ. დაიკრძალა ეგრისში გადმოსახლებული იოანე ოქროპირი, რომლის წმინდა ნაწილები 838 წ. კონსტანტინოპოლში გადაასვენეს, დღეს აქ შემორჩენილია მისი სარკოფაგი. IX ს-ში კომანში მოხდა იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ გამოჩინება. ლეჩხუმში სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა უდიდესმა წმინდანმა მაქსიმე აღმსარებელმა (+662), რომელიც მონოთელიტობის მხილების გამო ეგრისში გადმოასახლეს. დასახლებულმა წმინდანებმა დიდი როლი შეასრულეს ადგილობრივ მკვიდრთა რწმენის განმტკიცებაში, ხოლო მათი მოღვაწეობის ადგილები საქართველოს ეკლესიის უდიდეს სიწმინდედ ითვლება.

პოლიტიკურად ბიზანტიაზე დამოკიდებულ ეგრისში არსებული ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, სადაც VI ს-ის შუა ხანებში დაარსდა ფაზისის სამიტროპოლიტო, აბაზგის საარქიეპისკოპოსო, გუდაყვისა და სებასტოპოლისის ეპარქიები. VIII ს-ში, აფხაზთა სამთავროს ჩამოყალიბებისთანავე ეგრისში არსებული ეპარქი-

იები გაუქმდა, IX ს-ის 40-იან წლებში ეგრისის ეკლესია ბიზანტიისაგან გათავისუფლდა და შეიქმნა აფხაზთა საკათალიკოსო. X ს-ის შუა ხანებში კი აფხაზთა საკათალიკოსო მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგან ეკლესიური გაერთიანება წინ უსწრებდა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას. თავისთავად, ეკლესიურმა გაერთიანებამ სულიერად მოამზადა ქართველი ხალხი საქართველოს გაერთიანებისათვის. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს მცხეთის საკათალიკოსოს სახით აერთიანებდა ერთი სულიერი ცენტრი. თავის მხრივ, XI ს-ის დასაწყისში ქვეყნის გაერთიანების დასრულებამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკლესიაზე. ახლადგამოვლენილი პარხლის წარწერის (X ს.) მიხედვით კათალიკოსი იოანე IV (980-1001), ოქროპირად წოდებული, ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქად იხსენიება. ტიტულატურაში ქართველი კათალიკოსის აღმოსავლეთის პატრიარქად მიჩნევა იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ აღმოსავლეთში საქართველოს ეკლესია ძლიერ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ცენტრს წარმოადგენდა. ამ დროისათვის საქართველოს საპატრიარქოს ექვემდებარებოდა ჩრდ. კავკასიასა და სომხეთის მხარეში არსებული მართლმადიდებლური ეპარქიები. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა (1010-1033) მცხეთაში ხელახლა ააგო ვახტანგ გორგასლის დროინდელი სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, რომელიც, თავის მხრივ, გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენს.

პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებული სახელმწიფო დიდად ზრუნავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული ეკლესია-მონასტრების დაარსებისა და მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვის. ადრექრისტიანული ხანიდან მოყოლებული ქართველი სასულიერო პირები აქტიურ მთარგმნელობით და საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ პალესტინის, სირიის, კაპადოკიის, ათონსა და შავ მთაზე არსებულ ქართულ სავანეებში. საბა განწმენდილის (+532) ანდერძის თანახმად, მის ლავრაში VI ს-ში დამკვიდრებულ ქართველ სამღვდლოებს უფლება ეძლეოდა „ჟამნს“ და „სამხრისას“ საკუთარ ენებზე ეგალობათ, ქართულად წაეკითხათ „სამოციქულო“ და „სახარება“. უცხოეთში არსებული ქართული ქრისტიანული ცენტრებიდან აღსანიშნავია 980 წ. ათონის მთაზე დაარსებული ივირონის მონასტერი, სადაც დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა. ამ სკრიპტორიუმში მოღვაწე ქართველმა წმინდა მამებმა: ექვთიმე ათონელმა (+1028), გიორგი მთაწმინდელმა (+1065) და სხვებმა მთარგმნელობითი მოღვაწეობით დიდად გაამდიდრეს საქართველოს ეკლესია საღვთისმსახურო ლიტერატურით. მათ მიერ ნათარგმნი ლიტურგიკული ნაშრომები დღესაც გამოიყენება ღვთისმსახურებაში. ბიზანტიის სამეფო კარზე მოღვაწე ქართველმა დიდებულმა გრიგოლ ბაკურიანისძემ დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე 1083 წ-ს დააარსა პეტრიწონის მონასტერი და სასულიერო სემინარია. ამ სკოლის უდიდესი წარმომადგენელია XI ს-ის მოღვაწე იოანე პეტრიწი, რომლის ნათარგმნმა და ორიგინალურმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების განვითარებაში. კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გარდა, საზღვარგარეთ არსებული ქართული ქრისტიანული ცენტრების საშუალებით საქართველოს ეკლესია კავშირს ამყარებდა იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროსთან.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XII-XIII სს.) საქართველოს საპატრიარქოს ექვემდებარებოდა იმიერკავკასიაში არსებული ზუნდახის, ანწუნისა და წახურის ეპარქიები. ქრისტიანობა ამ მხარეში საქართველოს მეშვეობით გავრცელდა, მაგრამ XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში თემურ-ლენგის შემოსევებისა და გვიან შუა საუკუნეებში (XVI-XVIII სს.) ოსმალთა აგრესიის გავლენით ჩრდ. კავკასიაში მუსულმანური სარწმუნოება დამკვიდრდა, გაუქმდა იქ არსებული ქართული ეპარქიები, დაინგრა და განადგურდა ეკლესია-მონასტრები. ისლამის გავრცელებით კავკასია არა მარტო სარწმუნოებრივად ჩამოშორდა საქართველოს, არამედ მათ შორის არსებული პოლიტიკური და კულტურული ერთობაც დაირღვა.

საქართველოს ეკლესიის სულიერების ამღვებებში დიდი როლი შეასრულა წმ. მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125). დავით აღმაშენებელამდე უღირსი სასულიერო პირების გამო ეკლესიაში დაუსადგურებია „ნაკლოვანებას და ცდომა უწესოს“. სამეფო კარის ხელშეწყობით, ქრთამის გაღებით მაღალ საეკლესიო იერარქებად ხშირად ინიშნებოდა თანამდებობისათვის შეუფერებელი სამღვდლოება, რომლებიც თავიანთი უწესობით სახელს უტეხდნენ ეკლესიას. დავით აღმაშენებელმა ეკლესიის გაჯანსაღების მიზნით, 1104 წ-ს მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. კრების გადაწყვეტილებები საეკლესიო კანონის გათვალისწინებით იქნა მიღებული. ამ მიზნით, დავით აღმაშენებელის დავალებით, არსენ იყალთოელმა ბერძნულიდან თარგმნა „დიდი სჯულისკანონი“. კრების გადაწყვეტილებებით დაკანონდა სასულიერო პირთა ხელდასხმის წესი და მკაცრად განისაზღვრა სასულიერო პირთა ასაკი, აიკრძალა მექრთამეობა, პირადი მოხმარებისათვის საეკლესიო ნივთების გამოყენება, ეკლესიის გარეშე ნათლისღება, მონასტრებთან ბაზრობის გამართვა და ყველა ის უწესობა, რომელიც საერო და სასულიერო პირთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული.

დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმის შემადგენელი ნაწილია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის დაწესება. მწიგნობართუხუცესი საერო ინსტიტუტს წარმოადგენდა, დავით მეფემ კი მისი გამგებლობა ჩააბარა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველს. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი უფლებამოსილებით მეფის შემდგომ მეორე პირი იყო და პირველ ვაზირად ითვლებოდა. იგი ხელმძღვანელობდა ვაზირთა საბჭოს, რომლის წევრები იყვნენ: მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მსახურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და ათაბაგი. ვაზირთა საბჭოში ეკლესიის წარმომადგენლები არ იყვნენ წარმოდგენილნი. სავაზირო არ ერეოდა ეკლესიის საქმეებში. ჭყონდიდელი, როგორც ჭყონდიდის ეპარქიის მმართველი, იერარქიულად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს ემორჩილებოდა.

საეკლესიო პირები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სამეფო კართან არსებული სათათბირო ორგანოს – დარბაზის მუშაობაში. დარბაზობის გამართვის დროს კათოლიკოსსა და ეპისკოპოსებს საპატიო ადგილი ეკავათ. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი წარმართავდა მეფის კურთხევას. იგი აკურთხებდა და ადგამდა მეფეს გვირგვინს, დალოცავდა და მირონს ცხებდა.

დავით აღმაშენებელმა დიდად იღვაწა ეკლესია-მონასტრების აგებისა და გამშვენებისათვის. მის დროს აიგო გელათის მონასტერი, სადაც დააარსა გელათის აკადემია, რომელიც



წმ. ნინოს საფლავი  
ბოლბე



იოანე ოქროპირის სარკოფაგი  
კომანი. აფხაზეთი



სვიმონ კანანელის მღვიმე  
აფხაზეთი



„მეორედ იერუსალიმად“ და „სხუად ათინად“ იწოდებოდა. დავითის მიერ დაარსებულ აკადემიაში ჩამოყალიბდა გელათური სკოლა, რომლის წიაღში შესრულდა კომენტირებული ძველი აღთქმის სრულყოფილი თარგმანი, რომელიც ეფუძნებოდა ამავე აკადემიაში მოღვაწე არსენ იყალთოელის ტერმინოლოგიურ ღვთისმეტყველებას. გელათის აკადემიის რექტორი მოძღვართ-მოძღვრად იწოდებოდა და განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა სამეფო კარზე. მეფე დავითმა აგრეთვე დიდი ამაგი დასდო იმ დროისათვის საზღვარგარეთ არსებულ მონასტრებს, სრული შეუვალობის უფლება დაუმტკიცა შიომღვიმის, გელათის, დავით გარეჯის და სხვა მონასტრებს, დაიცვა ისინი საერო თუ სასულიერო პირთა ძალმომრეობისაგან. გელათის მონასტერს კი შესწირა მრავალი წმინდა ნაწილი. თვით მეფე დავითი დიდი ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა, კარგად იცნობდა სასულიერო მწერლობას, რასაც მოწმობს ჩვენამდე მოღწეული მისი ბრწყინვალე თხზულება „გალობანი სინანულისანი“.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებიც დიდად იღვწოდნენ ეკლესიის სასარგებლოდ. წმ. მეფე თამარი (1184-1213) ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებს ყურადღებას არ აკლებდა. მისი ხელმძღვანელობით აიგო და კეთილმოეწყო მრავალი ეკლესია-მონასტერი. იგი ასევე ზრუნავდა ეკლესიის სიჯანსაღისათვის, რომ უფლის ტაძარში უწესობას არ დაესადგურებინა.

თამარ მეფის შემდეგ ძნელბედობის ჟამი დაუდგა ქართველ ხალხს და ეკლესიას. XIII ს-ის 30-იანი წლებიდან მონღოლ-თათრებმა დაიპყრეს საქართველო. მანამდე კი, 1226 წ-ს თბილისს შემოესია მონღოლებისაგან დევნილი შუა აზიელი ჯალალ-ად-დინი. მისი ქმედებით გაოცებული მემატთანე აღნიშნავს: „ვინმე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნულთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანთა ზედა“. მან თბილისის სიონის ტაძარს გუმბათი მოარღვია, რომელზეც თავისი „ბილწი საჯდომელი“ დადგა. მისივე ბრძანებით, მეტეხის ხიდზე დაასვენეს უფლისა და ღვთისმშობლის ხატები და აიძულებდნენ მოსახლეობას „დათგრუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულის“. ვინც ამას არ აღასრულებდა „წაკვეთა თავთა ელოდა“. ასი ათასი ქართველი შეეწირა ჯალალ ად-დინის მანიაკურ ქმედებას. ეკლესიამ წამებულები წმინდანად შერაცხა. მატთანის ცნობით, ჯალალ ად-დინს თბილისში ბევრი ეკლესია დაუქცევია. მათ ადგილზე კი მეჩეთები დაუარსებია. მისი მეომრები ძალით წინადაცვეთდნენ ქრისტიანებს.

მძიმე შედეგები მოუტანა ქვეყანას მონღოლ-თათართა რაზმების თარეშმაც. მათი ბატონობის დროს (XIII-XIV სს.) „მოისვრიდა ყოველი ესე ქვეყანა“. მართალია, მონღოლებმა ეკლესია გადასახადებისაგან გაათავისუფლეს და შეწყალების სიგელიც უბოძეს, მაგრამ მათი ბატონობის დროს ქვეყნის შიგნით შექმნილი მძიმე ვითარება თავის უარყოფით გავლენას ახდენდა ეკლესიაზეც. სხვის მონობაში მყოფი სახელმწიფო ქმედით დახმარებას ვეღარ უწევდა ეკლესიას, რის გამოც იგი ვეღარ ასრულებდა თავის ფუნქციას. ეკლესიის დასუსტების გამო ქვეყანაში შურს, ამპარტავნობას, განუკითხავობას და სხვა უწესობას უჩენია თავი. მრევლის სიმცირის გამო მოიშალა საეპისკოპოსო კათედრები, საზღვარგარეთ არსებულ ქრისტიანულ ცენტრებში შენელდა საგანმანათლებლო მოღვაწეობა, წინა აზიასა და იერუსალიმში არსებული ქართული მონასტრები გაუქმდა. ზოგიერთმა ქართველმა მეფემ (მაგ. დავით ულუმ (1246-1270)) დაიწყო საეკლესიო მიწების გამოწირვა,

რამაც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია. მართალია, ეკლესიამ თავისი უძრავი ქონება შეინარჩუნა, მაგრამ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული წინააღმდეგობის აღმოფხვრას დიდი დრო დასჭირდა.

ეკლესიის აღმასვლისათვის დიდად ზრუნავდა წმ. მეფე დიმიტრი თავდადებული (1270-1289), რომლის დროს თბილისში აშენდა მეტეხის ტაძარი. პირადი ცხოვრების მოუწესრიგებლობის გამო იგი ხშირად კათოლიკოსის კრიტიკას იმსახურებდა, მაგრამ ქვეყნისა და სარწმუნოებისადმი თავდადებისათვის 1289 წ. მონღოლების მიერ ურდოში სიკვდილით დასჯილი დიმიტრი მეფე ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

საქართველოს ეკლესიისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) დროს. მისი მეფობის პერიოდში ქვეყანამ მონღოლ-თათართა ბატონობის უღელი გადაიგდო და აღორძინების გზას დაადგა. მან პირველ რიგში ყურადღება მიაქცია დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას და ახლის აგებას. გიორგი ბრწყინვალის დიპლომატიის შედეგად ქართველებმა კვლავ დაიბრუნეს საზღვარგარეთ არსებული ქართული მონასტრები. იერუსალიმში ქართველ სასულიერო პირებს გადაეცათ ქრისტეს საფლავის „კლიტენი“, პილიგრიმებს კი უფლება მიეცათ ცხენზე ამხედრებულები და დრო-შაზეაწულები შესულიყვნენ წმინდა ქალაქში. სათანადო დახმარება გაეწია პეტრიწონის, სინასა და ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ ბერებს. გიორგი ბრწყინვალის ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებას „უწესონი“ განუკვეთია ეკლესიიდან და სამღვდელოებისათვის გარკვეული შეღავათები დაუწესებია.

ქვეყნის პოლიტიკურ აღმავლობასთან ერთად ეკლესიაც აღმავლობის გზაზე დადგა, მაგრამ XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში შუა აზიელი თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ (1386-1402) ეკლესიაზეც მძიმედ იმოქმედა. მისი შემოსევების შედეგად დანგრეულ და გაპარტახებულ იქნა ეკლესია-მონასტრები, ხოლო 1393 წ-ის შემოსევის დროს, მისი ბრძანებით, ქვათახევის მონასტრის წმ. მამანი და დედანი მონასტერში გამოწვეს. თემურ-ლენგი პირველი მუსულმანი დამპყრობელი იყო, რომელიც საქართველოში ისლამის გავრცელებას ძალადობის გზით ცდილობდა. ამის გამო იგი დაუნდობელი იყო ეკლესიისა და სამღვდელოების მიმართ. მისი ლაშქრობების დროს აუარებელი საეკლესიო ქონება და სიწმინდე იქნა საქართველოდან გატანილი. მართალია, თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად დანგრეული ეკლესია-მონასტრები XV ს-ის პირველ ნახევარში აღდგენილ იქნა, მაგრამ ქვეყნის შიგნით წარმოშობილი ცენტრიდანული ძალებისაგან ეკლესიის ერთიანობას საფრთხე დაემუქრა. XV ს-ის დასაწყისიდან სამცხის მთავრები ცდილობდნენ, თავიანთ ტერიტორიაზე არსებული ეპარქიები მცხეთის საკათალიკოსოსაგან ჩამოეშორებინათ და შეექმნათ დამოუკიდებელი ეკლესია. მცხეთის საპატრიარქოს გონივრული პოლიტიკის წყალობით სამცხის ათაბაგებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და ამ ეტაპზე ეკლესიური ერთიანობა შენარჩუნებულ იქნა.

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები სამეფო კართან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ მონაწილეობა მიიღეს 1438-1439 წწ-ში ფერარა-ფლორენციაში გამართულ საეკლესიო კრებაზე, რომელზეც ანტიურქული კოალიციის შექმნის მიზნით, რომის პაპის მოთხოვნით, უნია გაფორმდა.

საქართველოს საერო და სასულიერო წარმომადგენლებმა კრება დატოვეს და რომის პაპის მიერ შემოთავაზებული უნიის გაფორმებაზე უარი განაცხადეს.

1453 წ. ბიზანტიის იმპერიის დამხობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც ქვეყნის, ისე ეკლესიის განვითარებაზე. ამის შემდეგ უკვე აღარ ხდებოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურის ტრადიციული ჩასწორება ბერძნულზე დაყრდნობით. ასეთმა ვითარებამ კარგა ხანს გასტანა. მხოლოდ XVII-XVIII სს-ში ბიზანტიურის ნაცვლად საქართველოს ეკლესიამ ლათინურულ სახურებაში დანერგა სლავური ლიტურგიკული წესები.

XV ს-ის მეორე ნახევარში ქვეყნის პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ საქართველოს ეკლესია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მართალია, ეკლესია კვლავ ცდილობდა, ქვეყნის გამაერთიანებელი როლი შეესრულებინა, მაგრამ სამეფო-სამთავროების ლიდერები და თვით მაღალი იერარქებიც ხელს უწყობდნენ ეკლესიური სეპარატიზმის აღმოცენებას. თითოეულ სამეფოს სურდა, თავის ტერიტორიაზე ჰყოლოდა მორჩილი მღვდელმთავარი, რომელიც მცხეთის საპატრიარქოსაგან დამოუკიდებელ საეკლესიო პოლიტიკას გაატარებდა. XV ს-ის 70-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის (1466-1478) სურვილით იმ დროს დას. საქართველოში მყოფმა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე აკურთხა ლიხთ-იმერეთის ანუ აფხაზეთის კათალიკოსად. ამ დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე დას. საქართველოს თავისი დამოუკიდებელი კათალიკოსი ჰყავდა. მცხეთის საპატრიარქოსაგან აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფა ლოგმატური უთანხმოების გამო არ მომხდარა. იგი მხოლოდ პოლიტიკური მოტივით იყო ნაკარნახები, რის გამოც მათ შორის ევქარისტული კავშირი არასოდეს გაწყვეტილა. ხშირად ისინი საერთო საკითხებს ერთობლივად წყვეტდნენ. თუმცა, პოლიტიკურად დაქუც-მაცებულ საქართველოში ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა ვეღარ ასრულებდა ქვეყნის გამაერთიანებელ ფუნქციას, რაც თავისთავად საქართველოს ეკლესიის სისუსტის ნიშანი იყო.

თავდაპირველად აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია იყო ბიჭვინთაში, ანდრია პირველწოდებულის ტაძარში. XVI ს-ის მეორე ნახევარში შინაფეოდალური ომებისა და ჩრდილო-კავკასიელ მომთაბარე ტომების თავდასხმების გამო მისი რეზიდენცია გადმოდის გელათში (ქუთაისი). აფხაზეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა ბიჭვინთის, ბედიის, მოქვის, ჭყონდიდის, დრანდის, ცაიშის, ქუთაისის, გელათის, ცაგერის, ნიკორწმინდის, ზონის, ჯუმათისა და შემოქმედის ეპარქიები. XVII ს-ის ბოლოს ნახევრად გაუქმდა მოქვის, ბედიის, დრანდის საეპისკოპოსოები.

XVI-XVIII სს-ში ირანისა და ოსმალეთის აგრესიამ საქართველოს ეკლესია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. XVI ს-ის ბოლოს ოსმალეთმა მიიტაცა სამხრეთ საქართველო და იქ არსებული 13 ეპარქია გააუქმა. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა სამხ. საქართველო დატოვა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეეხიზნა, დარჩენილი ნაწილი კი გამაჰმადიანდა, ან სხვა რწმენა მიიღო. ქართული ეკლესია-მონასტრების ნაწილი მეჩეთებად გადააკეთეს, ნაწილი კი უპატრონობის გამო განადგურდა. ეკლესია სამეფო ხელისუფლებასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მომხდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიზნით, ჯერ კიდევ XVI ს-ში, შეიქმნა მცხეთის საკათალიკოსო ჯარი, რომელიც საეკლესიო გლეხ-



წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე  
(ოქროპირიძე) 1824-1907



წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი  
(კიქოძე). 1825-1896



წმ. ამბროსი აღმსარებელი  
(ხელაია) 1861-1927



წმ. მღვდელმთავარი კირიონი  
(საძაგლიშვილი) 1855-1918



პირველი საეკლესიო კრების მონაწილეები  
1917 წლის სექტემბერი

ებისა და აზნაურებისაგან იყო დაკომპლექტებული. საკათალიკოსო ჯარს ჰყავდა თავისი სარდალი, რომელიც ლაშქარში ცალკე გამოდიოდა და ამირსპასალარის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. საკათალიკოსო ჯარი და მისი სარდალი სამეფო ხელისუფლებისაგან გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა. სასულიერო პირებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სამხედრო ოპერაციებში. საქართველოს ისტორიამ არაერთი თავდადებული ქართველი სასულიერო პირის სახელი შემოგვინახა, რომლებმაც სამშობლოს თავისუფლებას სიცოცხლე შესწირეს (მღვდელი თევდორე, მარაბდის ომის მონაწილე მღვდელმთავრები: მროველი, ალავერდელი, რუსთაველი, ხარჭაშნელი და სხვ.).

XVII ს-ში ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლას მრავალი საერო თუ სასულიერო პირი შეეწირა. მათ შორის აღსანიშნავია: ირანელთა მიერ 1616 წ-ს, აღდგომა დღეს დავით გარეჯის უდაბნოში ამოწყვეტილი 6000 მოწამე, 1622 წ-ს ირანში სიკვდილით დასჯილი წმ. ლუარსაბ მეფე, 1624 წ-ს შირაზში წამებული ქეთევან დედოფალი, 1625 წ-ს მარაბდის ბრძოლაში დაღუპული 9000 ქართველი, 1642 წ-ს როსტომ ხანის მიერ მოკლული კათალიკოსი წმ. ევდემოზ დიასამიძე. ქვეყნის თავისუფლებასა და სარწმუნოების დაცვას შეეწირნენ ირანელთა მიერ 1662 წ-ს სიკვდილით დასჯილი ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და სხვ.

ამავე პერიოდში ქართლ-კახეთში მაჰმადიანი ქართველი მეფეების (როსტომ ხანი (1632-1657), ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1675), გიორგი X (1675-1688), ერეკლე I ნახარალიხანი (1688-1703)) დასმით ირანი ცდილობდა საქართველოში ქრისტიანობის შესუსტებას. მართალია, ზოგიერთი მაჰმადიანი ქართველი მეფე დიდი პატივით ეპყრობოდა ეკლესიას და მის სიწმინდეებს, ხშირად მის აღდგენა-განახლებაში და სიწმინდეთა შემკობაშიც მონაწილეობას ღებულობდა, მაგრამ თავიანთი ცხოვრების წესით ხელს უწყობდნენ საზოგადოებაში არაქრისტიანული ტრადიციისა და ირანული წეს-ჩვეულებების დანერგვას, რაც საბოლოო ჯამში სულიერების დაცემას აღრმავებდა.

ანალოგიური ვითარება იყო დასავლეთ საქართველოშიც, სადაც XVII-XVIII სს-ში თურქ-ოსმალები იყვნენ გაბატონებულნი. გამუდმებული შინაფეოდალური ომებისა და თურქთა აგრესიის გამო ქვეყანა სულიერების მხრივ უზნეობის ჭაობში ჩაეფლო. დასავლეთ საქართველოში ამ დროისათვის გავრცელებული იყო „ტყვეთა სყიდვა“. ამ უმსგავსო ჩვეულებას საზოგადოების თითქმის ყველა ფენა მისდევდა. მხოლოდ ეკლესია იყო ერთადერთი ძალა, რომელიც ხმას იმაღლებდა მის წინააღმდეგ. ამ სამარცხვინო სენის აღმოსაფხვრელად კათალიკოსისა და იმერეთის მეფეთა ინიციატივით არაერთი საეკლესიო კრება ჩატარდა. ეკლესიის მიერ გამოტანილი მკაცრი განაჩენის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მისი საბოლოოდ აღმოფხვრა.

სახელმწიფოს მზრუნველობას მოკლებული საქართველოს ეკლესიის მრევლი თანდათან მცირდება. გარეშე მტერთა შემოსევებისა და ქვეყნის შიგნით შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო XVII-XVIII სს-ში ჩამოყალიბდა ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები. თურქ-ოსმალთა და ირანელთა ძალადობით სამხრეთ საქართველოსა და საინგილოს ქართველი მოსახლეობა გამაჰმადიანდა, მრევლის ნაწილი კათოლიკე გახდა, ნაწილი სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას მიემხრო. სარწმუნოებრივმა სხვადასხვაობამ ქართ-



ველთა ეროვნულ იდენტობას საფრთხე შეუქმნა. ეს ის პერიოდი, როცა „ქართველობა“ და „მართლმადიდებლობა“ იდენტურ ცნებებად აღიქმებოდა, რის გამოც, სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარი ქართველები იმ ეროვნებებად მიიჩნეოდნენ, რომელ სარწმუნოებასაც აღიარებდნენ.

თურქ-ოსმალთა და ირანელთა აგრესიასთან ერთად XVIII ს-ში გახშირდა ჩრდილო-კავკასიელ ლეკთა თავდასხმები, რამაც აღმ. საქართველოს მოსახლეობის საგრძნობი შემცირება გამოიწვია. დასახლებული მიხეზების გამო მოსახლეობისაგან დაიცალა სამების, გიშის, ჭერემის, ხორნაბუჯის, ახტალის, წილკნის, მანგლისის, წალკის, ბოლნისის, წინწყაროსა და დმანისის ეპარქიები.

XVII-XVIII სს-ში ეკლესიის დასუსტებამ გამოიწვია საქართველოში მოღვაწე კათოლიკე-მისიონერებისა და სომეხი სამღვდელოების გააქტიურება, რომლებიც ქართველთა ხარჯზე ახდენდნენ თავიანთი მრევლის გაზრდას. მართალია, ქართული ეკლესია სამეფო ხელისუფლებასთან ერთად საუკუნეების განმავლობაში ტოლერანტულ პოლიტიკას ატარებდა სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმართ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელ ეკლესიას მათი მხრიდან საფრთხე დაემუქრა, ქართველი სამღვდელოება თეოლოგიურ პოლემიკაში ერთვება და ქმნის ნაშრომებს, რომელშიც მხილებულია კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება (კათოლიკოს ბესარიონის (+1737) „გრდემლი“, ანტონ I კათოლიკოსის (+1788) „მზამეტყველება“ და სხვ.).

XVII-XVIII სს-ში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი სიტუაციის გამო, საზოგადოების სხვადასხვა ფენებში რელიგიურმა ინდიფერენტიზმმა იჩინა თავი. აღნიშნული მოვლენა მტკივნეული აღმოჩნდა როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოსათვის. ზოგიერთი საერო თუ სასულიერო პირი ხსნას კათოლიკეებთან დაახლოებაში ხედავდა, ზოგიერთი კი სლაკურ საღვთისმეტყველო წიგნებს თარგმნიდა და ამდიდრებდა სასულიერო მწერლობას. XVIII ს-ის დასაწყისში ვახტანგ VI-ის (1703-1723) მიერ გატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი ერში დაცემული სულიერების აღორძინებას ემსახურებოდა. მან 1709 წ-ს თავისსავე დაარსებულ სტამბაში დაბეჭდა „დაბადება“ და „სახარება“.

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპია კათალიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის (1744-1788) მოღვაწეობა. მან ქართლ-კახეთის სამეფო კარის დახმარებით თბილისში (1755 წ.) და თელავში (1782 წ.) დააარსა სემინარიები, რომლებიც განათლებულ კადრებს ამზადებდა ეკლესიისათვის. მანვე რუსეთში მოღვაწეობის დროს (1756-1763) სლაკური ენიდან თარგმნა სხვადასხვა ხასიათის საერო, საეკლესიო-საღვთისმეტყველო ლიტერატურა და შექმნა ორიგინალური ხასიათის ნაშრომები, რითაც მნიშვნელოვნად შეივსო ის ხარვეზი, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური დასუსტების დროს შეიქმნა. ანტონ I-ის მოღვაწეობის დროს გამოცოცხლდა საეკლესიო ცხოვრება, ეკლესია-მონასტრებთან დაარსდა საეკლესიო სკოლები, მომრავლდა ნათარგმნი თუ ორიგინალური ხასიათის საეკლესიო ლიტერატურა.

აღმავალი ეკლესიის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა პოლიტიკური პროცესები. 1783 წ-ს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გეორგიევსკში



ბიჭვინთის ტაძარი  
აფხაზეთი. X ს

დადებული მფარველობითი ხელშეკრულება იმის დასტური იყო, რომ ქართველმა ხალხმა პოლიტიკური ორიენტაცია ჩრდილოელი ერთმორწმუნე მეზობლისკენ აიღო. მართალია, გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ხელუხლებლად ტოვებდა, მაგრამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით საგრძნობლად იზღუდებოდა მისი უფლება. მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიური ქართული ეკლესიის მწყემსმთავარს რუსეთის უწმინდეს სინოდში უნდა დაეკავებინა მე-8 ადგილი ტობოლსკის ეპარქიის შემდეგ. რუსეთში პეტრე I-ის (1689-1725) დროიდან პატრიარქობა გაუქმებული იყო და ავტოკეფალური საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი პატრიარქის ტიტულით, ტრაქტატის მიხედვით, რუსული ეპარქიის მღვდელმთავრებთან იყო გათანაბრებული, რაც საეკლესიო სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.

საერო ხელისუფლებასთან ერთად ეკლესიაც დიდ იმედს ამყარებდა რუსეთზე, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. XIX ს-ის დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფოს უკანონო გაუქმებას, მალე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა მოჰყვა. 1810 წ-ს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II (1788-1810) მოტყუებით რუსეთში გაიწვიეს და 1811 წ-ის 30 ივნისს იმპერატორის რესკრიპტით საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია ყოველგვარი საეკლესიო კანონების დარღვევით გაუქმდა. 1814 წ-ს დამოუკიდებლობა დაკარგა დას. საქართველოში არსებულმა აფხაზეთის საკათალიკოსომაც. ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის მმართველად შემოდებულ იქნა ეგზარქოსის თანამდებობა, ხოლო ეპარქიების სამართავად ეგზარქოსის თაემჯდომარეობით შეიქმნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. საქართველოს ეგზარქოსს რუსეთის უწმინდეს სინოდში მუდმივი მე-4 ადგილი ეკავა.

მძიმე იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით გამოწვეული შედეგები. ეგზარქოსობის პერიოდში საგრძნობლად შემცირდა ეპარქიების, ეკლესია-მონასტრებისა და სამღვდელოების რაოდენობა. აღმ. საქართველოში ერთი, ქართლ-კახეთის ეპარქია დაარსდა, რომელსაც ეგზარქოსი განაგებდა. დას. საქართველოში კი სხვადასხვა დროს არსებობდა იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიები, რომლებსაც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეშვეობით ეგზარქოსი მართავდა. საქართველოს საეგზარქოსოს აგრეთვე ექვემდებარებოდა ბაქოსა და ერევნის მართლმადიდებელი მრევლი. საქართველოს ეკლესიის ქონება ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა. სასულიერო პირები ჯამაგირს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან იღებდნენ და ბუნებრივია ხელისუფლების პოლიტიკას ატარებდნენ სასულიერო სფეროში. ეკლესიაში დამკვიდრდა სლავური ლიტურგიკული პრაქტიკა. ეკლესია-მონასტრების წინამძღვრებად რუსი ეროვნების სამღვდელოება დაინიშნა. მონასტრებში საგრძნობლად შეამცირეს ქართველი სამღვდელოების რაოდენობა. მათზე მკაცრი, საიდუმლო მეთვალყურეობა იყო დაწესებული. წირვა-ლოცვა სლავურ საეკლესიო ენაზე დაკანონდა. უპატრონოდ მიტოვებული ეკლესია-მონასტრები მოუვლელობის გამო ნადგურდებოდა, ან სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები ისაკუთრებდნენ. სასულიერო კადრების მომზადებას ემსახურებოდა 1817 წ-ს თბილისში, ხოლო 1894 წ-ს ქუთაისში დაარსებული რუსული სასულიერო სემინარიები. გარდა ამისა, არსებობდა სამრევლო და სამაზრო სასულიერო სასწავლებლები, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

1817 წლიდან ეგზარქოსებად ინიშნებოდა ქართული ენის უცოდინარი რუსი ეროვნების მღვდელმთავრები, რომლებიც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ეკლესია-მონასტრების ძარცვით, სიმდიდრის დაგროვებით იყვნენ დაკავებულნი და მრევლში ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. საქართველოში რუსული საეკლესიო პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა „ოსეთის სასულიერო კომისია“ (1815-1860) და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ (1860-1917), რომლებიც სამისიონერო საქმიანობას ეწეოდნენ კავკასიის არამართლმადიდებელ მოსახლეობაში.

ქართველთა ეროვნული ერთიანობის დაშლის მიზნით რუსეთის ცარიზმმა მეგრელები და სვანები არაქართველებად გამოაცხადა და დაიწყო „ზრუნვა“ მათთვის დამწერლობა შეექმნა. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალთა სურვილი იყო წირვა-ლოცვა მეგრულად და სვანურად დამკვიდრებულიყო. ამ მიზნით მეგულ და სვანურ ქართველურ ენებზე ითარგმნა „მამაო ჩვენო“ და სხვა ლოცვები. ცარიზმის აღნიშნული პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აღიმადლა ქართველმა საზოგადოებამ და რაც მთავარია თარგმნილი ლოცვები მოსახლეობამ არ მიღო, რის გამოც ხელისუფლებამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.


XIX ს-ის მეორე ნახევარში ცარიზმმა გააძლიერა ანტიქართული პოლიტიკა საქართველოს ძირძველ კუთხეში, აფხაზეთში. აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის, ქართველებისა და აფხაზების ასიმილაციის მიზნით აქ ჩაასახლეს სხვადასხვა ეროვნების კოლონისტები. დემოგრაფიული სურათის შეცვლასთან ერთად აფხაზეთში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში კულტურის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდნენ, რუსი ბერები დაეპატრონენ, სადაც ღვთისმსახურება რუსულ ენაზე შემოიღეს. ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკის გატარებას აფხაზეთში ემსახურებოდა 1875 წ-ს მათ მიერ ახალ ათონში დაარსებული სიმონ კანანელის სახ. რუსული მონასტერი და 1885 წ-ს აღდგენილი სოხუმის ეპარქია, რომლის მმართველებად რუსი მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ. ქართველთა და აფხაზთა შორის უძველესი დროიდან არსებული კულტურულ-ისტორიული ერთიანობის დარღვევის მიზნით რუსეთის რეაქციულმა ძალებმა სხვადასხვა პროექტი შეიმუშავა. თავდაპირველად ცარიზმის მიერ აფხაზების მიმართ გატარებული ღონისძიებანი „კეთილშობილურად“ გამოიყურებოდა. რუსმა მოხელეებმა აფხაზებისათვის რუსული ალფაბეტის საფუძველზე აფხაზური ანბანი შექმნეს და ამავე ენაზე ღვთისმსახურების შემოღების მიზნით აფხაზურად თარგმნეს „იოანე ოქროპირის ლიტურგია“ და „კურთხევანი“, მაგრამ იმდენად უხეირო თარგმანი იყო, რომ მისი გამოყენება შეუძლებელი გახდა. აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების მიზნით, XIX-XX ს-ის დასაწყისში შემუშავებულ იქნა ახალი პროექტი რომლის მიხედვით აფხაზეთის ოლქი და სოხუმის ეპარქია უნდა შეერთებოდა ყუბანის ოლქს. მართალია, ქართველი და აფხაზი ხალხის წინააღმდეგობის გამო ცარიზმის მოხელეებმა თავიანი განზრახვა ამ ეტაპზე სისრულეში ვერ მოიყვანეს, მაგრამ ამ ორ მოძმე ერს შორის, რუსული პოლიტიკის წყალობით, გაუცხოვების ელემენტებმა იჩინა თავი, რაც შემდგომ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, საკავშირო მთავრობის ხელშეწყობით კიდევ უფრო გაღრმავდა. რუსული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ XX ს-ის 90-იან წლებში აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობა შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც სავალალო აღმოჩნდა ორივე ხალხისათვის. რუსეთის

მიერ პროვოცირებული კონფლიქტის გამო აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა, ქართველობა თავისსავე სამშობლოში ლტოლვილად იქცა. დევნილებაში აღმოჩნდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაც. რუსული პოლიტიკის შედეგად მეორე კონფლიქტური ცენტრი წარმოიშვა შიდა ქართლში (ცხინვალის რეგიონი). ამჟამად ორივე კონფლიქტურ ზონაში ღვთისმსახურებას ყოველგვარი საეკლესიო კანონების დარღვევით რუსი სამღვდელთა წარმართავს.

ქართველი საზოგადოება და სამღვდელთა არასოდეს შერიგებია ავტოკეფალიის დაკარგვას და რუსი ბიუროკრატიული სამღვდელთა აღვირახსნილობას. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას უპირველესი ადგილი ეკავა XIX-XX სს-ის განმავლობაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ცარიზმის წინააღმდეგ პერმანენტულად მიმდინარე სახალხო აჯანყებებში ქართველი ხალხი ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ხალხის გათავისუფლების ერთ-ერთ პირობად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას მიიჩნევდა. არაერთი სასულიერო პირი შეეწირა რუსეთის ცარიზმის ძალმომრეობას, რომელთა შორის აღსანიშნავია წმ. მღვდელმონაწამეები: დოსითეოს ქუთათელი (+1820) და ექვთიმე გაენათელი (+1821), მღვდელი ფილადელფოს კიკნაძე (+1833) და სხვ.

XIX ს-ის მეორე ნახევარში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თერგდალეულები: წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე), აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი... და ქართველი სასულიერო პირები: წმ. მღვდელმთავრები: გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე და სხვები ხმას იმაღლებდნენ ცარიზმის ძალმომრეობის წინააღმდეგ, ამხელდნენ რუსეთის ანტისაეკლესიო პოლიტიკას. მართალია, XX ს-ის პირველ ათეულში, რევოლუციური მოძრაობის დროს წმ. კირიონ (საძაგლიშვილი) მოწამის, კალისტრატე ცინცაძის, წმ. ამბროსი აღმსარებლის და სხვათა ხემღძვანელობით არაერთხელ დაისვა რუსეთის ხელისუფალთა წინაშე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, მაგრამ თვითმპყრობელობის დამხობამდე (1917 წ.) მისი მიღწევა შეუძლებელი შეიქნა. ამავე წლის 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ქართველი სამღვდელთა და საზოგადოების მონაწილეობით აღდგენილად გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადება სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ეკლესიურ თავისუფლებას 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაც მოჰყვა. იმედი ჰქონდათ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფლება ახლად ავტოკეფალიაგამოცხადებულ ეკლესიას გვერდში ამოუდგებოდა, მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. ხელისუფლების სათავეში მოსულმა ათეისტურმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ეკლესიის შევიწროება დაიწყო: ჩამოართვა უძრავ-მოძრავი ქონება, ეკლესიამონასტრები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა, სკოლებში აიკრძალა საღმრთო რჯულის სწავლება, დაიხურა სასულიერო სასწავლებლები და სხვ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არ ცნო რუსეთის ეკლესიამ და მართლმადიდებლურმა სამყარომ. 1917 წ-ის 29 დეკემბერს რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა მუქარის ეპისტოლე გამოუგზავნა ქართველ მღვდელმთავრებს, საეკლესიო კანონების დარღვევაში და სქიზმაში დასდო ბრალი მათ. მართალია, კათოლიკოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) სახელით ტიხონს საეკლესიო სამართალზე



წმ. ნინოს ჯვარი  
თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი



დამყარებული არგუმენტირებული პასუხი გაეგზავნა, მაგრამ კარგა ხნის მანძილზე ამ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობა გაწყვეტილი იყო. მხოლოდ 1943 წ-ს რუსეთის ეკლესიამ ცნო აღდგენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება და მათ შორის აღდგა ეკლესიის კავშირი.

1921 წ-ის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება მძიმე წნეხის ქვეშ მოექცა. ახალი რეჟიმის მიერ გამოცემული პირველივე დეკრეტებით ეკლესია კანონგარეშედ გამოცხადდა, დაიხურა ეკლესია-მონასტრები, სამღვდლოება იდევნებოდა, იძარცვებოდა და ნადგურდებოდა საეკლესიო სიწმინდეები. 1922 წ-ის გაზაფხულზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმ. ამბროსი (ხელაია) აღმსარებელმა მემორანდუმით მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს პატრიარქი სთხოვდა ხმა ამოეღოთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ. იგი მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას, რომ ქართველ ხალხს თვითონ გადაეწყვიტა თავისი მომავალი. მემორანდუმის გაგზავნის გამო პატრიარქ ამბროსის და საკათალიკოსო საბჭოს წევრებს სხვადასხვა ზომის სასჯელი მიუსაჯეს. მართალია, ისინი სასჯელისაგან ძალიან გაათავისუფლეს, მაგრამ ხელისუფლებას არ შეუჩერებია რეპრესიები. 1924 წ-ის აჯანყების ჩახშობის შემდეგ სიკვდილით დაისაჯა რამდენიმე ათეული სასულიერო პირი. მათ შორის იყო წმ. მოწამე მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, წმინდანად შერაცხულები: დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდლები: სიმონ მჭედლიძე, იერეთეოს ნიკოლაძე და დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე. შემდგომ კიდევ უფრო გაძლიერდა რეპრესიები, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, თავლებად, კლუბებად და სხვა დაწესებულებებად გადააქციეს ტაძრები. კომკავშირელები და პარტიული აქტივისტები აწყობდნენ „წითელ პარასკეობებს“, ძალით იჭრებოდნენ ეკლესიებში, შეურაცხყოფას აყენებდნენ მრევლს და სასულიერო პირებს. ათეზმის გაძლიერების მიზნით დაარსდა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, იცემოდა ათეისტური ხასიათის ლიტერატურა. სასულიერო პირები „ბნელეთის მოციქულებად“ და ხალხის მტრებად გამოცხადდა. ანტირელიგიურმა მოძრაობამ საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა. აქტივისტების მიერ ტარდებოდა ანტირელიგიური ხასიათის ლექციები. ლიტერატურა, კინო, მხატვრობა და ხელოვნების სხვა დარგები დიდ ადგილს უთმობდა ათეისტურ საკითხებს. საბჭოთა ხელისუფლებას სურდა, ეკლესია სექტად ექცია, მაგრამ კათალიკოს-პატრიარქების: ქრისტეფორე III-ის (1927-1932), კალისტრატეს (1932-1952) და სხვათა ძალისხმევით ეკლესიამ თავისი სახე მაინც შეინარჩუნა. მართალია, მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის ეკლესიას გარკვეული შეღავათები მიეცა, მაგრამ საქართველოს ეკლესიაზე ასეთი შეღავათები არ გავრცელებულა, მხოლოდ შეჩერდა ის რეპრესიები, რასაც ხელისუფლება მანამდე მიმართავდა.

საქართველოს ეკლესიაზე ზედამხედველობა 50-იან წლებამდე ხორციელდებოდა უშუალოდ საკავშირო ორგანოების მიერ. 1947 წ-ს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან დაარსდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის თანამდებობა, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა საქართველოში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციებს, მათ შორის – მართლმადიდებელ ეკლესიასაც. XX ს-ის 50-70-იან წლებში სასულიერო პირთა რიცხვი საგრძნობლად იყო შემცირებული, მოქმედი ეკლესიებიც უმნიშვნელო იყო. სასულიერო კადრების მომზადე-

ბის მიზნით, ეკლესიამ არაერთხელ მიმართა ხელისუფლებას სასულიერო სასწავლებელთა გახსნის ნებართვის თხოვნით. მხოლოდ 1963 წ-ს მცხეთაში გაიხსნა საღვთისმეტყველო კურსები, რომელიც შემდგომ მცხეთის სასულიერო სემინარიად გადაკეთდა.

საქართველოს ეკლესიის აღორძინება დაკავშირებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის (შიოლაშვილი) სახელთან, რომელიც 1977 წლის 25 დეკემბრიდან საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარია. მისი მოღვაწეობის დროს მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტი. უწმინდესი ილია II-ის ღვაწლის შედეგია, რომ 1990 წლის 4 მარტს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს I-მა საგანგებო სიგელით დაადასტურა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია. ამავე პერიოდში გაიზარდა ეკლესია-მონასტრებისა და ეპარქიების რაოდენობა, აშენდა და აღდგა მრავალი ქრისტიანული ტაძარი. თბილისსა და ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია და აკადემია. უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლების შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით შექმნილია ქართული საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრი, რომლის ბაზაზე მგალობელთა და რეგენტთა კადრების მოსამზადებლად დაარსდა უმაღლესი სასწავლებელი. პატრიარქის კურთხევით, 2007 წ-ის მაისში დაფუძნდა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია მოციქულის სახ. საერო უნივერსიტეტი. ეპარქიებში ამოქმედდა სასულიერო სასწავლებელთა ფართო ქსელი. მოზარდი თაობის სულიერ აღზრდას ემსახურება თბილისის წმ. სამების ლავრასთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი. წმ. სინოდის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესიის წმინდანთა დასს შეემატა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებული ახალი მოწამეები. 2002 წ-ის ოქტომბერში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმდა საკონსტიტუციო შეთანხმება. 2005 წლის თებერვალში უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხელმძღვანელობით დაარსდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცებას და მეცნიერების განვითარებას. პატრიარქის კურთხევით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებობს რადიო და ტელემაუწყებლობა „ივერია“. საპატრიარქოს გრიფით გამოდის სხვადასხვა სახის პერიოდული გამოცემები და სამეცნიერო გამოკვლევები.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა შემოქმედებით ინტელიგენციასთან. ამჟამად საპატრიარქოს ბაზაზე მოქმედებს რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი. პატრიარქის ინიციატივით აღდგა, ჯერ კიდევ XII ს-ში დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის მეცნიერებათა აკადემია.

1991 წ-დან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია დიდ გავლენას ახდენს ეკლესიის ცხოვრებაზეც. ამჟამად სახელმწიფოსა და ეკლესიის იურისდიქცია არ ვრცელდება ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე. ეკლესია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის აღმშენებლობაში. იგი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ერთიანობისა და მშვიდობის შენარჩუნებაში.



წმ. სამების საკათედრო ტაძარი  
თბილისი

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო კომისია

ავტორი: ელდარ ბუბულაშვილი

რედაქტორი: მიხეილ ქურდიანი

დიზაინი: მაკა ჭიჭინაძე „გრაფიქს დიზაინ ენდ პრინტიინგი“

კომპიუტერული მაკეტი: რუსუდან ერისთავი

ფოტო: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლ-თა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

გამომცემლობა „არტანუჯი“-ს ფოტო არქივი

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის ფოტო-არქივი

გია ჯაველიძე

ბადრი ვადაჭკორია

გარეკანი:

სახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი. გელათი. XII ს. I ნახ. ჯვრის დეტალი

სახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი. გელათი. XII ს. I ნახ. მთავარანგელოზი მიქაელი

სახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი. გელათი. მედალიონი ღვთისმშობლის გამოსახულებით. XII ს. I ნახ.

პირველი გვერდი:

თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი. ხობი. XII ს. ბოლო – XIII ს. დასაწყისი

© საქართველოს ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ISBN 978-9941-0-0766-8

UDC (უაკ) 271.22(479.22)(09)+27-9 ბ-953